ელზა მაკარაძე
საოჯახო სასტუმრო „ელზა“-ს დამფუძნებელი,
ბიოლოგიის დოქტორი
Elsa Makaradze
Founder of the Family Hotel "Elsa",
Doctor of Biology

ფრინველებზე დამკვირვებლების როლი ჩაქვისწყლის ხეობის კულტურულ ტურიზმში აჭარის გასტრონომიისა და ადგილობრივი იდენტობის პოპულარიზაცია

The role of birdwatchers in the cultural tourism of the Chakvistskali valley. Popularization of Adjara gastronomy and local identity

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.12

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ფრინველებზე დამკვირვებლების (birdwatchers) როლი ჩაქვისწყლის ხეობის კულტურული ტურიზმის განვითარებაში.შინაარსი ფოკუსირდება აჭარის გასტრონომიისა და ადგილობრივი იდენტობის პოპულარიზაციის საკითხებზე.ორნითოლოგიური ტურიზმი წარმოადგენს მდგრადი განვითარების ეფექტიან ინსტრუმენტს,რომელიც აერთიანებს ბუნების დაცვას, კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივი თემების ეკონომიკურ გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვება, ჩაქვისწყლის ხეობა, კულტურული ტურიზმი, გასტრონომია.

Abstract

The article discusses the role of birdwatchers in the development of cultural tourism in the Chakvistskali Gorge. The content focuses on the issues of popularizing Adjara gastronomy and local identity. Ornithological tourism is an effective tool for sustainable development, combining nature conservation, cultural heritage, and economic empowerment of local communities.

Key words: Ecotourism, bird watching, Chakvistskali Gorge, cultural tourism,gastronomy.

გლობალიზაციის პირობებში კულტურული ტურიზმი სულ უფრო მეტად უკავშირდება ავთენტური გამოცდილებების ძიებას. თანამედროვე ტურისტი დაინტერესებულია არა მხოლოდ ისტორიული

ობიექტებით, არამედ ადგილობრივი ცხოვრების წესით, ტრადიციებითა და ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობით [Richards, 2012]. ამ კონტექსტში ეკოტურიზმი და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება - ფრინველებზე დაკვირვება - მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული იდენტობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში [Weaver, 2001)].

ჩაქვისწყალი არის მდინარე დასავლეთ საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტში. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, 1295 მ სიმაღლეზე, ერთვის შავ ზღვას. ჩაქვისწყლის ხეობა აჭარის რეგიონში წარმოადგენს სივრცეს, სადაც ბუნებრივი მრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.ჩაქვისწყლის ხეობაში არის ფრინველთა მიგრაციის ათკილომეტრიანი „სამიგრაციო ძაბრი“ , რომელიც მსოფლიოში მესამე ადგილზეა მექსიკისა და ისრაელის შემდეგ გადამფრენ ფრინველთა რაოდენობის მიხედვით. აჭარა, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი გადამფრენ ფრინველთა „აღმოსავლეთ შავი ზღვის საემიგრაციო დერეფნის“ სახელითაა ცნობილი, რადგან ზაფხულ-შემოდგომით აქედან მილიონობით გადამფრენი ფრინველი მიიწევს აფრიკის კონტინენტისკენ.

ჩვენი სტატიის მიზანია გაანალიზოს, როგორ უწყობს ხელს ფრინველებზე დამკვირვებლება კულტურული ტურიზმის განვითარებას და როგორ აისახება ეს პროცესი აჭარის გასტრონომიასა და ადგილობრივი თემის თვითიდენტობაზე. ეკოტურიზმი და კულტურული იდენტობა :ეკოტურიზმი განისაზღვრება როგორც პასუხისმგებლიანი მოგზაურობა ბუნებრივ ტერიტორიებზე, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას (UNWTO, 2018). კულტურული იდენტობა კი წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, ტრადიციებსა და პრაქტიკებს, რომლებიც განსაზღვრავს თემის თვითაღქმას. ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ,რომ კულტურული ტურიზმი საქართველოში მნიშვნელოვანი რესურსია რეგიონული განვითარებისათვის [ლორთქიფანიძე, 2016]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ტურისტული აქტივობები,რომლებიც ადგილობრივ კულტურას არა ექსპლუატაციის, არამედ რეპრეზენტაციის გზით წარმოაჩენს. აჭარა მდებარეობს კავკასიის ერთ-ერთ მთავარ მიგრაციულ დერეფანზე, რაც მას უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს ფრინველებზე დაკვირვების თვალსაზრისით [BirdLife International, 2020)]. ჩაქვისწყლის ხეობა გამოირჩევა ტყის, მდინარისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემების თანაარსებობით,რაც მრავალი ფრინველის სახეობის ბინადრობისა და გადაფრენის პირობებს ქმნის.

ამავდროულად, ხეობა ინარჩუნებს ტრადიციული სოფლის ცხოვრების ელემენტებს:აგრარული საქმიანობა, საოჯახო მეურნეობები, ძველი არქიტექტურა და ზეპირი ფოლკლორი.ეს გარემო ფრინველებზე დამკვირვებლებისთვის ქმნის არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ კულტურულ ინტერესსაც. ფრინველებზე დამკვირვებლები როგორც კულტურული ტურისტები birdwatchers-სახელით მოიხსენიებენ ადგილობრივები, ძირითადად მაღალი ორნითოლოგიური განათლების მქონე

ვიზიტორები არიან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი კულტურის ღრმა გაცნობით [Steven et al., 2015]. მათთვის მნიშვნელოვანია ავთენტური გარემო, ადგილობრივებთან უშუალო კონტაქტი და ტრადიციული გამოცდილება. ჩაქვისწყლის ხეობაში ფრინველებზე დამკვირვებლები ხშირად სარგებლობენ საოჯახო სასტუმროებით, იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ დღესასწაულებში და ეცნობიან რეგიონის კულტურულ ნარატივებს. ეს პროცესი ხელს უწყობს კულტურულ დიალოგს და ადგილობრივი იდენტობის გაძლიერებას. ჩვენი საოჯახო სასტუმრო „ელზა“ ზუსტად ორნითოლოგების დიდი დაინტერესების შემდეგ დაარსდა. აქ ვმასპინძლობთ მსოფლიოს 24 ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელტა ინტერესი ფრინველების შემდეგ ადგილობრივი სამზარეულოა.გასტრონომია კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება [UNESCO, 2017].აჭარული სამზარეულო ასახავს რეგიონის გეოგრაფიულ,კლიმატურ და ისტორიულ თავისებურებებს. ფრინველებზე დამკვირვებლებისთვის აჭარული ხაჭაპური, ბორანო, მაწონი, ადგილობრივი თაფლი და ჩაი წარმოადგენს კულტურულ გამოცდილებას, რომელიც ვიზიტს სრულყოფილ სახეს აძლევს. ქართველი ავტორები აღნიშნავენ, რომ გასტრონომიული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი პროდუქტების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას [გაბუნია, 2019]. მდგრადი ტურიზმის საფუძველი ადგილობრივი თემის აქტიური მონაწილეობაა. ჩაქვისწყლის ხეობაში ფრინველებზე დამკვირვებლების მიღება ქმნის დამატებით შემოსავალს და ამავე დროს აძლიერებს კულტურული თვითშეფასების განცდას. ადგილობრივი გიდები, საოჯახო სასტუმროების მფლობელები და ფერმერები ხდებიან კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები.

ფრინველებზე დამკვირვებლების როლი ჩაქვისწყლის ხეობაში მნიშვნელოვნად სცდება ეკოტურიზმის ვიწრო ჩარჩოებს. ისინი წარმოადგენენ კულტურული ტურიზმის აქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ აჭარის გასტრონომიის, ადგილობრივი იდენტობის და არამატერიალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. საოჯახო სასტუმროს მრავალწლიანი მუშაობის კვლევა ადასტურებს,რომ birdwatching შეიძლება ჩაითვალოს მდგრადი რეგიონული განვითარების ეფექტიან ინსტრუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბუნია, ნ., გასტრონომიული ტურიზმი საქართველოში. 2019, თბილისი.

ლორთქიფანიძე, მ., კულტურული ტურიზმის განვითარების საკითხები საქართველოში. 2016, თბილისი.

BirdLife International. (2020). Migratory bird flyways of the Caucasus region.

Richards, G. (2012). Cultural tourism. Journal of Hospitality and Tourism Management.

Steven, R., Morrison, C., & Castley, J. G. (2015). Birdwatching and avitourism. Biological Conservation. UNWTO. (2018).

Tourism and culture synergies.

Weaver, D. (2001). Ecotourism.













